

ასოციაცია "ათინათი"

"სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევების ცენტრი"

"საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" ზუგდიდის
წარმომადგენლობა

"საზოგადოების ჩართულობა დემოკრატიული თვითმმართველობისათვის"

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში
გამართული შეხვედრების შუალედური ანგარიში

*ანგარიში მომზადებულია "ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის" მხარდაჭერითა და
„შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ ფინანსური უზრუნველყოფით.*



**ევრაზიის
თანამშრომლობის
ფონდი**

ზუგდიდი
2013 წლის 25 დეკემბერი

შესავალი

ასოციაცია „ათინათის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ზუგდიდის წარმომადგენლობისა და „სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევების ცენტრის“ კოალიციური პროექტის „საზოგადოების ჩართულობა დემოკრატიული თვითმმართველობისთვის“ ფარგლებში 2013 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების (სოფლების) მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრების მეორე ეტაპი გაიმართა.

შეხვედრებზე მიმოხილულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და თვითმმართველობის დაგეგმილი რეფორმის ძირითადი საკითხები. ასევე მოკვლეულ იქნა კონკრეტულ თემში არსებული პრობლემები, რაც პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ გაითვალისწინებულ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოსა და სხვა უწყებებისათვის შეთავაზებულ რეკომენდაციებში.

შეხვედრები ორ ეტაპად გაიმართა: 17 სექტემბერს წარდგენილ იქნა 15 ტერიტორიულ ერთეულში გამართული შეხვედრების ანგარიში. წინამდებარე ანგარიშში კი წარმოდგენილია დანრჩენილ ტერიტორიულ ერთეულებში გამართული შეხვედრების შედეგები.

აღსანიშნავია, რომ მოკვლეულ პრობლემათა ნაწილი უკვე გათვალისწინებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში, ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით ანგარიშში წარმოდგენილი პრობლემები გათვალისწინებული იქნება 2014 წელს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდში.

ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მოსახლეობა ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტის პროცესში ითხოვს მაქსიმალურ ჩართვას; პრობლემები კი ძირითადად ინფრასტრუქტურულ და სოციალურ საკითხებს ეხება. ყველაზე მწვავედ დგას სანიაღვრე არხებთან და გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე უსწრაფეს რეაგირებას მოითხოვს საბავშვო ბაღების შენობა-ნაგებობების მოწესრიგებისა და საფუძვლიანი რემონტის თემა.

მოსახლეობა აქტიურად ადევნებს თვალყურს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ პროექტის განხილვის პროცესს და მოითხოვენ რეფორმის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრების მასშტაბების გაზრდას.

წარმოგიდგენთ შეხვედრების შედეგად სოფლებში გამოვლენილ პრობლემებსა და

მოსახლეობის საჭიროებებს:

ახალსოფელი:

ახალსოფლის თემი სამი სოფლისაგან შედგება: ოფაჩხაფუ, უჩაშონა და ჯუმი. სოფლის ტერიტორია მოიცავს 3 000 ჰა მიწას, სადაც გაშენებულია ციტრუსი, ჩაი, ხილი. ცხოვრობს 1715 კომლი 4887 ადამიანამდე.

გამოვლენილი პრობლემები:

- მოშლილია შიდა გზების უმეტესი ნაწილი. გზები განსაკუთრებულად ავარიულია ოფაჩხაფუსა და უჩაშონას უბანში.
- მდინარეებზე ჯუმი და ყულისწყალი მოსაწყობია ნაპირსამაგრი ნაგებობები. 2013 წლის ზაფხულში, წყალდიდობების დროს, რამდენჯერმე დაიტბორა თხილნარი და სახნავ-სათესი მიწები კოლხიდას დასახლებაში.
- საბავშვო ბაღი, რომელიც შენობის გარეშეა დარჩენილი, სოფლის გამგეობის შენობის პირველ სართულზეა განთავსებული, თუმცა საკმარისი ფართის უქონლობის გამო ბაღში მხოლოდ ერთი ჯგუფია გახსნილი, ადგილობრივების განცხადებით, სოფელში 100-მდე სკოლამდელი ასაკის ბავშვი ცხოვრობს.
- იძულებით გადაადგილებულ პირთა კოლექტიური ცენტრში არ არის მოწყობილი კანალიზაცია, ცენტრს ასვე არ მიეწოდება წყალი. სოფლის საჯარო სკოლას კი არ აქვს საპირფარეო.

ნარაზენი:

სოფელი ნარაზენი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტერიტორიული ერთეულია, იგი ზუგდიდიდან 15 კილომეტრითაა დაშორებული. სოფელში ცხოვრობს 1140 კომლი, 4200 ადამიანი.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ნარაზენში საკალანდიოს, საბიგვას და შამადელას უბნებში მოსახლეობა მოითხოვს შიდა გზების რეაბილიტაციას.
- შამადელას უბანში მოშლილია წყალმომარაგების სისტემა. წყალსაქაჩ ნაგებობას არ მიეწოდება ელექტრო-ენერგია.
- შამადელას უბნის მოსახლეობა მოითხოვს ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას და ხის, მოძველებილი ელექტრობოძების გამოცვლას.

კოკი:

სოფელი კოკი ზუგდიდიდან 15 კილომეტრითაა დაშორებული. კოკის შემადგენლობაშია სოფელი ხურჩაც, რომელიც მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობს. სოფელში ცხოვრობს 515 ოჯახი, მოსახლეობის რაოდენობა 2000 კაცს აღემატება.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ კოკში, ხურჩას დასახლებაში დაზიანებულია ელექტროსადენები, რის გამოც მოსახლეობას ცუდ ამინდებში არ მიეწოდება ელექტროენერგია.

- მოსახლეობის თქმით, კოკის საბავშვო ბაღი ფართის სიმცირის გამო ემსახურება 30 ადგილობრივ აღსაზრდელს, რის გამოც 20-მდე ბავშვი შესაბამისი მომსახურების გარეშე რჩება.
- მოსახლეობა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის საკითხზე ითხოვს დამატებითი საჯარო შეხვედრის ჩატარებას.

ორსანტია:

სოფელი ორსანტია ზუგდიდიდან დასავლეთით 20კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ანაკლიამდე მანძილი 15 კილომეტრს შეადგენს. სოფელში 516 კომლია და 4145 ადამიანი ცხოვრობს. ორსანტია მდიდარია ინერტული მასალებით, ფუნქციონირებს სამი კარიერი.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ორსანტიას მოსახლეობა მოითხოვს მდინარე ენგურზე ნაპირსამაგრი ნაგებობების აშენებას, მათი თქმით, ბოლო 10 წლის მანძილზე წყალდიდობების შედეგად 33 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა უვარგისი გახდა.
- მოსახლეობა ასევე მოითხოვს სანიაღვრე არხების მოწყობასა და შიდა გზების მოხრეშვას.
- მოსახლეობა ასევე მოითხოვს სასოფლოს-სამეურნეო მიწის ანალიზს, გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნულ სოფელში მოსახლეობის უმეტესი ნაწილის შემოსავალი არის თხილი.

ჭკადუაში:

სოფელი ჭკადუაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე ძველი დასახლებაა, იგი ზუგდიდიდან 17 კილომეტრით არის დაშორებული, სოფელში 599 კომლია და ცხოვრობს 1949 ადამიანი. სოფელ ჭკადუაში მდებარეობს იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი კოლექტიური დასახლებაც.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფ. ჭკადუაშის ყოფილი ბანაკის ტერიტორიაზე დევნილთა კოლექტიური ცენტრის მცხოვრებნი მოითხოვენ ნარჩენების კვირაში ერთხელ გატანას, ასევე სოფლის ცენტრში რამდენიმე რკინის სანაგვე ბუნკერების განთავსებას.
- მოსახლეობა ასევე ითხოვს საბავშვო ბაღისათვის დამატებითი ფართის გამოყოფას, რადგან მას შემდეგ, რაც სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში აღსაზრდელების მიღება გახდა უფასო, მსურველთა კონტინგენტი მნიშვნელოვნად გაიზარდა.
- სოფელში მოსაწესრიგებელია შიდა გზების უმეტესი ნაწილი, ასევე მთელს სოფელში გასაწმენდია სანიაღვრე არხები.

დარჩელი:

სოფელ დარჩელი ქ. ზუგდიდიდან 20 კმ-ით, ხოლო შავი ზღვის სანაპიროდან (ანაკლიიდან) 10კმ-ითაა დაშორებული. იგი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობით გამოირჩევა, სოფელში 6500-მდე ადამიანი ცხოვრობს.

გამოვლენილი პრობლემები:

- ამორტიზებული და ავარიული ზემო დარჩელში არსებული საბავშვო ბაღი, მოსახლეობა მოითხოვს მის აღდგენას.
- ქვემო დარჩელში მდებარე საბავშვო სკოლა, რომელიც ხის ერთ სართულიანი შემობაშია განთავსებული საჭიროებას სრულ რეაბლიტაციას, სკოლაში 2013-2014 სასწავლო წლისათვის 87 მოსწავლე ირიცხება.
- რეაბლიტაციას საჭიროებს დარჩელის N1 საჯარო სკოლაც. სკოლის დირექტორის განმარტებით, რამდენიმე წლის წინ შეიცვალა შენობის სახურავი, თუმცა სამუშაოები უხარისხოდ იქნა ჩატარებული და შედეგად წვიმისას წყალი ადვილად აღწევს შენობაში.
- დარჩელის მოსახლეობა ასევე ითხოვს ბიბლიოთეკის რეაბლიტაციასა და კულტურის სახლის აღდგენას. მოსახლეობის ინფორმაციით, ყოფილი კულტურის სახლის შენობა, რომელიც მუნიციპალურ საკუთრებას წარმოადგენდა, მოსახლეობასთან კონსულტაციის გარეშე გასხვისდა ფიზიკურ პირზე, რომელმაც აქ საბანკეტო დარბაზი მოაწყო.

ინგირი:

სოფელი ინგირი ზუგდიდიდან 4 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. იგი მოსახლეობის რაოდენობით (9 ათასამდე მაცხოვრებელი) საქართველოს სოფლების ათეულში შედის.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ინგირში მოსაწყობია სანიაღვრე არხები.
- რეაბლიტაციას საჭიროებს შიდა გზები უმეტესი ნაწილი.
- მოსახლეობა მოითხოვს, რომ სოფელში მდგარი ის შენობა-ნაგებობები, რომლებიც კოოპერატივების ან ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაშია, გადაეცეს მუნიციპალიტეტს, რათა შემდგომში გამოყენებულ იქნას ადგილობრივი მოსახლეობის სასიკეთოდ.
- მოსახლეობა ასევე მოითხოვს გაზიფიკაციის პროცესის დაწყებას.

კორცხელი:

სოფელი კორცხელი ერთ-ერთი უძველესი სოფელია საქართველოში, იგი XIX საუკუნეში მაზრის სტატუსს ატარებდა. კორცხელი ზუგდიდიდან 10 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, 2002 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში ცხოვრობს 1431 ადამიანი.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ კორცხელში მოსაწყობია სანიაღვრე არხები.
- რეაბლიტაციას საჭიროებს შიდა გზების უმეტესი ნაწილი.
- ასაშენებელია სოფლების კორცხელისა და ჭკადუაშის დამაკავშირებელი ხიდი.
- მეწყერსაშიშ ზონაში მოსაწყობია რკინა ბეტონის კონსტრუქციები მცოცავი მიწის გასამაგრებლად. მეწყერისაგან დაზარალებული 18 ოჯახი მოითხოვს

კომპენსაციას და სხვაგან გადასახლებას.

- კორცხელის მაცხოვრებელთა აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შემდგომ სოფელი კორცხელი უნდა გახდეს ახლად შექმნილი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. მიაჩნიათ, რომ კორცხელი მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ყველაზე ხელმისაწვდომი და ოპტიმალური იქნება სხვა სოფლებისათვის.

ოდიში:

სოფელი ოდიში ზუგდიდიდან 5 კილომეტრითაა დაშორებული, მის ცენტრზე ზუგდიდი-წალენჯიხის დამაკავშირებელი მაგისტრალი. ოდიში ზღვის დონიდან 210 მ-ზე მდებარეობს. ოდიშიში 622 კომლია და 2010 ადამიანი ცხოვრობს, ოდიშის ტერიტორიული ერთეული შემადგენლობაშია სოფელი სინწა.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ოდიშიში მოსახრეშია შიდა გზები
- მოსაწყობია სანიაღვრე არხები.
- საბავშვო ბაღში არ არის მოწყობილი კანალიზაცია.
- ხიდი, რომელიც საკვიტაციანოს უბანს გარესამყაროსთან აკავშირებს, ამორტიზებულია და რეაბილიტაციას საჭიროებს. მოსახლეობას ფეხით უწევს მდინარის გადალახვა.

ჭაქვინჯი:

სოფელი ჭაქვინჯი ზუგდიდის სამხრეთ-დასავლეთით მე-14-ე კილომეტრზე მდინარე წენწყარის სანაპიროზე მდებარეობს. სოფლის ტერიტორიის 60% მთაგორიანია. სოფელში 530 კომლია და 1698 მოსახლე ცხოვრობს. ტერიტორიული ერთეული შედგება სამი დასახლებული პუნქტისაგან: ჭაქვინჯი-ქვატახტი; ბაღმარანი და დიდდობერა.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ჭაქვინჯში მოშლილია შიდა გზები უმეტესი ნაწილი, ამ მხრივ განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობა დიდდობერას უბანში. მოასფალტებას საჭიროებს გზა რომელის სოფელს ზუგდიდთან აკავშირებს..
- წყალმომარაგების სისტემა აღსადგენია ბაღმარანის უბანში, რომელიც მთიან ზონაში მდებარეობს არტეზიული ჭების მოწყობას კი, დიდი ფინანსური ღირებულების გამო მაცხოვრებელთა უმეტესი ნაწილი ვერ ახერხებს.
- მოსახლეობა მოითხოვს, რომ კვირაში ერთელ “ზუგდიდდასუფთავებამ” გაზიდოს დაგროვილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები.
- მეწყერსაშიშ ზონაში 20 ოჯახი ექვემდებარება ასახლებას, ასევე საჭიროა რკინა ბეტონის კონსტრუქციები მცოცავი მიწის გასამაგრებლად.
- სოფელ ჭაქვინჯის საბავშვო ბაღი საჭიროებს დამატებით ფართსა და გარემონტებას. მოსახლეობა ასევე მოითხოვს სპორტული მოედნის მოწყობას.

გრიგოლიში:

სოფელი გრიგოლიში (ყოფილი ალერტკარი) ზუგდიდიდან აღმოსავლეთით, 10 კმ-ის

დაშორებით მდებარეობს. სოფელი გრიგოლიში მოიცავს 1380 ჰექტარ ტერიტორიას და 1000-მდე მოსახლე ცხოვრობს.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ გრიგოლიში გზები ამორტიზებულია და შეუძლებელია ავტომობილით გადაადგილება, მოსახლეობა მოითხოვს გზის 5 კილომეტრიანი მონაკვეთის მოასფალტებასა და შიდა გზები მოხრეშვას.
- მეწყერსაშიშ ზონაში მოსაწყობია რკინა-ბეტონის კონსტრუქციები მცოცავი მიწის გასამაგრებლად. რვა დაზარალებული ოჯახი კი ასახლებას ექვემდებარება.
- საკიკალიშვილოს უბანი ხიდის არარსებების გამო მოწყვეტილია გარესამყაროს და უბნის მაცხოვრებლებს ფეხით უწევთ დიდ მანძილზე გადაადგილება.
- სოფელში ჩასატარებელია გამრიცხველიანება.
- გრიგოლიშის საბავშვო ბაღი მხოლოდ ერთი ჯგუფის მიღებას ახერხებს, მაშინ როდესაც სოფელში 40-მდე სკოლამდელი აღზრდის ბავშვი ცხოვრობს.

ურთა:

სოფელი ურთა ზუგდიდიდან 13 კილომეტრის დაშორებით, მთიან ზონაში მდებარეობს. სოფლის ტეროტორიის უმეტესი ნაწილი მთა-გორიანია. სოფელი მდიდარია გეოთერმული წყლებითა და კირ-ქვის მადნებით. ასევე მრავლადაა კასტრული მღვიმეები.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ურთაში მოსახლეობა მოითხოვს წყალმომარაგების სისტემის აღდგენას,
- ზუგდიდთან დამაკავშირებელი გზის მოასფალტებასა და შიდა გზების მოხრეშვას.
- ასევე ელექტროსადენების შეცვლასა და ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას.

აბასთუმანი:

აბასთუმანი ზუგდიდის აღმოსავლეთით მდებარეობს. სოფელი მთაგორიანია, სადაც ცხოვრობს 587 კომლი, 1700-მდე ადამიანი. აბასთუმნის ტერიტორიული ერთეული აერთიანებს სამ სოფელს – საკუთრივ აბასთუმანს, ზეცერას და მენჯს.

გამოვლენილი პრობლემები:

- მოსახლეობა მოითხოვს ცენტრალური გზის აღდგენას - ჯერ სანიაღვრე არხების მოწყობასა და შემდგომ გზის საფარის მოასფალტებას.
- სოფლის მასშტაბით შესაცვლელია დაზიანებული ელექტრობოძები და ელექტრო სადენები, ასევე განსახორციელებელია ინდივიდუალური გამრიცხველიანება.
- მეწყერსაშიშ ზონაში მოსაწყობია რკინა ბეტონის კონსტრუქციები მცოცავი მიწის გასამაგრებლად, 15 ოჯახი მეწყერის შედეგად სახნავ-სათესი მიწების

გარეშე დარჩა.

- სოფლის რწმუნებულსა და სპეციალისტებს არ აქვთ სამუშაო ოთახი, სოფლის გამგეობის ყოფილი შენობა კი ამორტიზებულია და გამოუსადეგარი.
- დაზიანებულია ამბულატორიის შენობა.
- საბავშვი ბაღი კი ერთ, ჰატარა ოთახშია განთავსებული, რის გამოც შეუძლებელია აღსაზრდელთა მეორე ჯგუფის მიღება.
- ხეცერის უბანი სოფლის ცენტრიდან 10 კილომეტრითაა დაშორებული, ამ უბნის მაცხოვრებელთათვის (სულ ცხოვრობს 72 ოჯახი) მთაგორიანი რელიეფისა და უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი საგზაო ინფრასტრუქტურის გამო საბავშვიო ბაღი და საექიმო ამბულატორია ხელმიუწვდომელია.

ერგეტა:

სოფელი ერგეტა ზუგდიდიდან 27 კილომეტრითაა დაშორებული, იგი კოლხეთის დაბლობზე, კოლხეთის ეროვნული ტყე-პარკის მიმდებარედ მდებარეობს. სოფელი შედგება 530 კომლისა და 1471 სული მოსახლისაგან.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ერგეტაში აღსადგენია წყალმომარაგების სისტემა.
- მოსახლეობა მოითხოვს, რომ სახნავ-სათეს მიწებს ჩაუტარდეს ლაბორატორიული ანალიზი, რადგანაც ბოლო წლებში მკვეთრად იკლო მოსავლიანობის დონემ.
- მოსახლეობა ასევე მოითხოვს ტყეკაფების გამოყოფასა და შიდა გზის 5 კილომეტრიანი მონაკვეთის მოასფალტებას.
- სოფელ ერგეტას მხოლოდ ორი სამარშუტო ტაქსი ემსახურება, რაც მოსახლეობის ინფორმაციით არ არის საკმარისი და დამატებით ერთი მუნიციპალური ავტობუსის გამოყოფას მოითხოვენ

ორულუ:

სოფელი ორულუ ზუგდიდიდან 17 კილომეტრის დაშორებით, კოლხეთის დაბლობზე, ზღვის დონიდან 10 მეტრზე ორულუ მდებარეობს. ორულუში 530 კომლი და 1790 ადამიანი ცხოვრობს.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ორულუში შესაცვლელია ელექტროსადენები და ბოძები, ასევე ჩასატარებელია ინდივიდუალური გამრიცხველიანება. ქარსა და წვიმიან ამინდში მოსახლეობას ელექტრო-ენერგია არ მიეწოდება.
- სოფლის საბავშვიო ბაღი ფართის სიმცირის გამო მხოლოდ ერთი ჯგუფის მიღებას ახერხებს.
- ამორტიზებულია საექიმო ამბულატორიის შენობა.
- მოსახლეობა მოითხოვს ორულუსა და სოფელ დარჩელის დამაკავშირებელი გზის მოასფალტებას.

პროექტის “საზაგოდების ჩართულობა დემოკრატიული თვითმმართველობისათვის”

განმახორციელებელი ორგანიზაციები მოვუწოდებთ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას და საქართვეოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა ახლო მომავალში გადადგან ქმედითი ნაბიჯები წინამდებარე ანგარიშში მოცემული პრობლემების მოსაგვარებლად.